პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო
КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР
შაბათი, 17 ივნისი, 1944 წ. № 122 (7066). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

ჩაის რაიონების საბრძოლო ამოცანა. მოწინავე (1-ლი გვერდი).
საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან. 16 ივნისის ოპერატიული ცნობა (1-ლი გვერდი).
უცხოეთის პრესა კარელიის ყელზე საბჭოთა შეტევის შესახებ (1-ლი გვერდი).
ით. ჯაფარიძე, მ. საქარული. ქართველი ხალხის მამაცი შვილი. საბჭოთა კავშირის გმირი გიორგი გიორგის-ძე ბახტაძე (მე-2 გვერდი).
მაიორი დმ. ლობანოვი, უფროსი ლეიტენანტი ივ. კარაბუტენკო. მფრინავი გამანადგურებელი შალვა ქირია (1-ლი გვერდი).
სწრაფად და უდანაკარგოთ ავიღოთ უხვი მოსავალი. (მე-2 გვერდი).
უცხოეთის ამბები: მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობები. ამერიკის ავიაციის თავდასხმა იაპონიაზე. იაპონიაზე ამერიკის ავიაციის თავდასხმის გამო. ამერიკის ახალი ბომბდამშენი „ბ-29". ამერიკის ჯარების გადასხმა მარიანის კუნძულებზე. ინგლისის ავიაციის მოქმედება. ინგლისს თავს დაესხნენ გერმანიის თვითმფრინავები, რომლებსაც რადიოთი მართავენ. ომი წყნარ ოკეანეში. (1-ლი და მე-2 გვერდი).
სრულიად-საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატი (1-ლი და მე-2 გვერდი).

ჩაის რაიონების საბრძოლო ამოცანა

ჩაის მწვანე ფოთოლი უხვად არის შემოსული. მახარაძელთა მოწოდების საფუძველზე სუბტროპიკულ რაიონებში მაღლა ფრიალებს დროშა სოციალისტური შეჯიბრებისა უხვი მოსავლისათვის. მთელი რიგი კოლმეურნეობები, ბრიგადები ჩაის მწვანე ფოთოლს თავის დროზე და მაღალხარისხოვნად კრეფენ. ამით ისინი აღწევენ გეგმების როგორც რაოდენობრივად, ისე ხარისხობრივად შესრულებას. მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ ჩაის ფოთლის კრეფის მაისის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა და ხარისხიც დაიცვა. ჩაის კრეფის ოსტატები აღწევენ შრომის ნაყოფიერების თვალსაჩინო გადიდებას და იცავენ ხარისხობრივ მაჩვენებლებს. მახარაძის რაიონის სოფელ გურიანთის კოლმეურნეობის წევრი ნ. ზოდულაძე დღიურ ნორმას 300-350 პროცენტით ასრულებს.

მიუხედავად ამისა, ჩაის მოკრეფილი ფოთლის ხარისხის მხრივ ამჟამად არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა. რაიონებიდან მოსული ცნობები მოწმობენ, რომ ივნისის უკანასკნელ დღეებში პირველი ხარისხის ფოთლის ხვედრითი წონა მცირდება. ეს მდგომარეობა დამაფიქრებელია. პარტიის რაიონული კომიტეტები, აღმასკომები, რაიმიწგანები მოვალენი არიან მეტი ყურადღება მიაქციონ როგორც კრეფის ტემპების გაძლიერებას, ისე, რაც მთავარია, ხარისხის გაუმჯობესებას. ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა მაშინ ჩაითვლება შესრულებულად, როდესაც დაცულია ხარისხი. ჩაის რაიონების ადგილობრივი ორგანიზაციების მუშაობა შეფასებულ იქნება არა მარტო იმით, თუ რა რაოდენობის მოსავლის მოყვანას უზრუნველჰყოფენ ისინი თვითეულ ჰექტარზე, არამედ იმითაც, თუ როგორი ხარისხისა იქნება ჩაის ნედლეული. ხარისხისათვის ბრძოლა ოდნავადაც არ იძლევა იმის საბაბს, რომ შევანელოთ კრეფის ტემპები.

ყველა პირობა არსებობს იმისათვის, რომ წარმატებით შევასრულოთ ჩაის კრეფის გეგმები რაოდენობრივად და ხარისხობრივად. შრომითი აღტყინება სოფლად უმაგალითოა. ჩაის ხავერდოვან პლანტაციებში დიდი აღფრთოვანებით მუშაობენ კოლმეურნეები. დიდი სტალინის ბრძნული მხედართმთავრობით წითელი არმიის გამარჯვებანი გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში ახალ-ახალი შრომითი მამაცობისათვის აღაფრთოვანებენ კოლმეურნეებსა და სოფლის მეურნეობის მუშაკებს.

ჩაის ფოთლის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში დიდი ამოცანები აქვთ დაკისრებული სოფლად კომუნისტებსა და კომკავშირელებს. სადაც უნდა მუშაობდეს სოფლად კომუნისტი — ჩაის პლანტაციაში, მიმღებ პუნქტში, თუ ჩაის ფაბრიკაში, იგი ყველგან უნდა იცავდეს ხარისხს. კომუნისტს არ შეუძლია მოითმინოს ნაკლოვანებანი ხარისხისათვის ბრძოლაში. განა შეუძლია კომუნისტს შეურიგდეს იმ მდგომარეობას, როდესაც ჩაის შემოუსვლელ ფოთოლს ჰკრეფენ, ან როდესაც სხვადასხვა ხარისხის ფოთოლს ერთმანეთში ურევენ, ან როცა შემოსული ფოთლის კრეფას აგვიანებენ? ანდა როგორ შეიძლება კომუნისტი შეურიგდეს ისეთ მდგომარეობას, როდესაც მიმღები პუნქტებიდან ფოთოლი რამდენიმე დღის განმავლობაში არ გადააქვთ ჩაის ფაბრიკებში გადასამუშავებლად? რა თქმა უნდა, ასეთ ნაკლოვანებებს კომუნისტი ვერ შეურიგდება. სოფლის კომუნისტების საბრძოლო ამოცანა ის არის, რომ თვითონ დაიცვან ჩაის კრეფისა და გადამუშავების წესები, ამავე დროს დაეხმარონ სხვებსაც ამაღლდნენ მოწინავეთა დონემდე და მიაღწიონ საერთო აღმავლობას.

სერიოზული ამოცანები აქვთ დაკისრებული სუბტროპიკული რაიონების გაზეთებს. სწორად იქცევა გალის რაიონული გაზეთის „სტალინური გზით" რედაქცია, როდესაც ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის გეგმების რაოდენობრივ შესრულებასთან ერთად სერიოზულ ყურადღებას აქცევს ხარისხობრივი მაჩვენებლების დაცვას, გაზეთი რაზმავს კოლმეურნე მასებს, რომ ჩაის ფოთოლი ჰკრიფონ თანაბრად, განუწყვეტლივ და უზრუნველჰყონ ჩაის ნედლეულის ხარისხის გაუმჯობესება.

მაგრამ ამ საკითხს ყველა სუბტროპიკული რაიონული გაზეთი სათანადოდ ვერ აშუქებს. საილუსტრაციოდ დავასახელებთ გეგეჭკორის რაიონულ გაზეთ „სოციალისტურ სოფელს" და ლანჩხუთის რაიონულ გაზეთ „დამკვრელ კოლმეურნეს", ეს რაიონული გაზეთები გამონაკლისს როდი შეადგენენ.

რაიონულმა გაზეთებმა ჩაის ფოთლის კრეფის საკითხების გაშუქებას მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ. ამ მხრივ მათი თემები არ უნდა იყოს შეზღუდული. ისინი მოწოდებული არიან გამოავლინონ ისეთი განწყობილება, როდესაც აინტერესებთ გეგმის მხოლოდ რაოდენობრივი შესრულება და ივიწყებენ ხარისხს, მოაწყონ აგრონომის საუბრები კრეფის წესებზე და მკითხველებს გააცნონ მოწინავე კოლმეურნეობების, კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობების მუშების დადებითი გამოცდილება ფოთლის ხარისხის დაცვის დარგში.

რა აუცილებელი პირობებია საჭირო იმისათვის, რომ დავიცვათ ხარისხობრივი მაჩვენებლები? ამისათვის საჭიროა განუხრელად გავატაროთ კრეფის წესები.

ამხანაგი **ლ. პ. ბერია** გვასწავლის: „საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ ფოთოლი მოიკრიფოს დროულად და ყველა დადგენილი წესის დაცვით".

საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ მოვუღოთ ბოლო მავნე პრაქტიკას — იერიშობანას ჩაის კრეფაში. ამას მაშინ მივაღწევთ, როდესაც ჩაის ფოთოლი მოიკრიფება თავის დროზე, როცა ყველგან იქნება დანერგილი სისტემატური, განუწყვეტელი კრეფა.

საჭიროა კრეფის კარგი ორგანიზაცია, შრომის საუკეთესოდ მოწესრიგება, მთელი შრომისუნარიანი მუშახელის გამოყენება ჩაის კრეფაში, ბრიგადებსა და რგოლებში სამუშაო ძალების სწორად განაწილება. ბევრი რამ არის დამოკიდებული ჩაის ფაბრიკების მოქნილ მუშაობაზე. ჯერ ერთი, ჩაის ნედლეული თავის დროზე, სწრაფად უნდა გადაზიდონ ფაბრიკებში, მეორე, დაიცვან ტექნოლოგიური პროცესები ნედლეულის გადამუშავებისას და ამით უზრუნველჰყონ მაღალხარისხოვანი ჩაის მზა პროდუქციის გამოშვება.

ივნისი გადამწყვეტი თვეა ჩაის წლიური გეგმის როგორც რაოდენობრივად, ისე ხარისხობრივად შესრულების საქმეში. ამიტომ ჩაის პლანტაციების საუკეთესო მოვლა-დამუშავებით, სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი გაშლებით, კრეფის წესების ზუსტად განხორციელებით უზრუნველვყოთ 1944 წლის ჩაის ფოთლის კრეფის გეგმების მთლიანად და გადამეტებით შესრულება როგორც რაოდენობის, ისე ხარისხის მიხედვით. მივცეთ ჩვენს ქვეყანასა და ფრონტს მეტი და მაღალხარისხოვანი ჩაი!

უცხოეთის პრესა კარელიის ყელზე საბჭოთა შეტევის შესახებ

ნიუ-იორკი, 14 ივნისი (საკდესი). ამერიკის პრესა და რადიო კვლავ დაწვრილებით განიხილავენ წითელი არმიის შეტევას კარელიის ყელზე. მთელი რიგი წამყვანი გაზეთები და რადიოკომენტატორები მკაცრად ესხმიან თავს ფინეთის მთავრობას, რომელმაც ფინელი მოსახლეობა ტრაგიკულ მდგომარეობამდე მიიყვანა. გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი" სწერს: „ფინეთის მთავრობას აკისრია ძირითადი პასუხისმგებლობა ფინელთა ტრაგიკული მდგომარეობისათვის".

რადიოკომენტატორ ჰალტენბორნის აზრით, ფინელებისათვის ყველაზე უმჯობესია რაც შეიძლება მალე შეწყვიტონ საბჭოთა კავშირის ჯარებისადმი წინააღმდეგობა.

მიმომხილველი უინტერი, რომელიც ლაპარაკობს კარელიის ყელზე წითელი არმიის შეტევის შესახებ, აღნიშნავს, რომ ეს შეტევა მოკავშირეებთან მჭიდრო თანამშრომლობით სწარმოებს.

სტოკჰოლმი, 14 ივნისი (საკდესი). გაზეთი „არბეტარენი" კარელიის ყელზე საბჭოთა შეტევისადმი მიძღვნილ სტატიაში სწერს: „რუსების შეტევა თვალს აუხელს ბევრ ფინელს. ისტორია დაჰგმობს იმ ვაებატონებს, რომლებთაც პასუხისმგებლობა აკისრიათ ფინეთის ავბედითი პოლიტიკისათვის".

ლონდონი, 14 ივნისი (საკდესი). „დეილი მეილი" კომენტარს უკეთებს საბჭოთა შეტევას კარელიის ყელზე და სწერს, რომ „ახლა კარელიის ყელზე რუსებმა გაარღვიეს ფოლადის, ბეტონის ხაზი, რომელიც, როგორც აცხადებდნენ, ეკუთვნოდა მსოფლიოში ყველაზე უფრო ძლიერ ხაზთა რიცხვს. ახლა რუსები მთელი სიჩქარით გაექანენ ვიბორგისაკენ. როგორ უნდა ნანობდნენ ფინელები იმას, რომ უარჰყვეს რუსების საზავო პირობები რამდენიმე თვის წინათ".

გეტებორგი, 16 ივნისი (საკდესი). გაზეთი „გეტებორგს ჰანდელს-ტიდნინგენი" სწერს: „მოვლენები, რომლებიც ამჟამად კარელიის ყელზე ხდება, მოულოდნელს არაფერს წარმოადგენს: რუსეთი ისე მოქმედებს, როგორც უნდა ემოქმედნა მას ფინეთის მიერ რუსეთის პირობების უარყოფის შემდეგ. მაგრამ საინტერესოა, რისი იმედი ჰქონდათ ჰელსინკში?" „ინგლისისა და ამერიკის პრესის ყველა გაფრთხილება, — სწერს გაზეთი, — იმის შესახებ, რომ ფინეთს არ უნდა ჰქონოდა მათი დახმარების იმედი, როგორც ჩანს, ფინელებმა ერთ ყურში შეუშვეს და მეორეში გაუშვეს".

სტოკჰოლმი, 16 ივნისი (საკდესი). ფინური გაზეთი „აბო უნდერრეტელსერ" აცხადებს, რომ მას შემდეგ, რაც კარელიის ყელზე წითელი არმიის შეტევა დაიწყო, ფინეთში ყველგან შეიძლება გაიგონოთ ირონიული შენიშვნები მთავრობის მიმართ: „რასაც დასთესავ, იმას მოიმკი". გაზეთი ტლანქი გინებით ილაშქრებს იმათ წინააღმდეგ, ვინც ასეთ შენიშვნებს აკეთებს, და ემუდარება მოსახლეობას, მხოლოდ ფინეთის სარდლობის ცნობები დაიჯეროს.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

16 ივნისის ოპერატიული ცნობა

16 ივნისის განმავლობაში კარელიის ყელზე ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც განაგრძობდნენ შეტევის განვითარებას, ბრძოლებით დაიკავეს 100-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის იუკოლა, იოროლა, მასტერიარვი, პიისპალა, პუტროლა, ლეისლილია, უსიკირკო, ხარიუ, ლოუნატიოკი, ხეტელია, ლიიკოლა, დიდი და პატარა კირკიამიაკი, დიდი კაიდალოვო, ალისკა, კორლე, ხატაკალა, ისენტაუსი, სარიინენი, ტაპარი და რკინიგზის სადგურები კანელიარვი, ლოუნატიოკი, მასტერიარვი, იაპილია.

ფრონტის სხვა უბნებზე ცვლილება არ მომხდარა.

15 ივნისის განმავლობაში ყველა ფრონტზე საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 18 თვითმფრინავი.

* * *

კარელიის ყელზე ჩვენი ჯარები, რომლებმაც გუშინ გაარღვიეს ფინელთა თავდაცვის მეორე ზოლი, შეტევას განაგრძობდნენ. ჩვენმა ნაწილებმა დასძლიეს მტრის წინააღმდეგობა და დაიკავეს ასზე მეტი დასახლებული პუნქტი. ბევრი ამ პუნქტთა შორის ფინელების მიერ გადაქცეული იყო თავდაცვის ძლიერ გამაგრებულ კვანძებად. საბჭოთა არტილერისტები ეხმარებიან შემტევ ქვეით ჯარს და მძლავრი ცეცხლით ანგრევენ მოწინააღმდეგის თავდაცვით ნაგებობებს. N შენაერთის არტილერიამ დღის განმავლობაში ჩაახშო 150-ზე მეტი საცეცხლე წერტი. ფინელებს, რომლებიც საბჭოთა ჯარების დარტყმებით უკან იხევენ, მძიმე ზარალი მოსდით ადამიანებისა და ტექნიკის მხრივ. N ნაწილის მებრძოლებმა გაანადგურეს მტრის დასაყრდენი პუნქტი, გაჟლიტეს 700 ფინელი ჯარისკაცი და ოფიცერი და ხელთ იგდეს 2 ტანკი, 40 ქვემეხი, 12 ნაღმსატყორცნი, რამდენიმე საწყობი საომარი მასალით და სხვა დავლა.

საბჭოთა მეომრები მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში თავდადებულობასა და გმირობას იჩენენ. გვარდიის სერჟანტი კაიუკოვი ფინელთა ცეცხლქვეშ მტრის ძელმიწურ საცეცხლე წერტილთან მიხოხდა და გრანატებით ააფეთქა. იმავე დღეს ამხ. კაიუკოვმა შეცვალა მწყობრიდან გამოსული ოცმეთაური, სათავეში ჩაუდგა ოცეულს და წარმატებით შეასრულა მის წინაშე დასახული ამოცანა. მესანგრე მზვერავმა ეფრეიტორმა ნიკიტა ეფიმოვმა ერთ მიწურში სამი ფინელი ჯარისკაცი აღმოაჩინა, განაიარაღა და ტყვედ წამოიყვანა ისინი. სერჟანტები ფირსოვი, მიხაილოვი და რიგითი მებრძოლი კოვალჩუკი უეცრად დაესხნენ თავს მტრის ავტომატელთა ჯგუფს. სამმა საბჭოთა მზვერავმა დახოცა 15 ფინელი, ორი კი ტყვედ წამოიყვანა.

* * *

ქალაქ ვიტებსკის სამხრეთ-აღმოსავლეთით აქტიურად მოქმედებენ N ნაწილის სნაიპერები. სნაიპერებმა პეტრე დანილოვმა და სერგი ტიმოფეევმა პოზიცია დაიკავეს იმ უბნის მახლობლად, სადაც გერმანელები ღამით სიმაგრეებს აშენებდნენ. დილაადრიან ჰიტლერელებმა მუშაობა დაამთავრეს და თითო-თითოდ წავიდნენ მაღლობს გადაღმა მდებარე ბლინდაჟისაკენ. ხევზე გადასვლისას ისინი საბჭოთა მებრძოლების ცეცხლში მოხვდნენ. სნაიპერებმა ამხ. დანილოვმა და ტიმოფეევმა ამ დილით 10 გერმანელი მოსპეს.

წითელარმიელმა ამხ. ბულანოვმა შაშხანის ცეცხლით ჩამოაგდო გერმანელთა თვითმფრინავი „ჰენშელ-126".

* * *

ორმა ჩვენმა ჯავშნიანმა კატერმა ლეიტენანტ სმირნოვისა და ლეიტენანტ ვოლკოტრუბის მეთაურობით, ჩუდის ტბაზე საზვერავად ყოფნისას, გერმანელთა ოთხი კატერი აღმოაჩინა. საბჭოთა მეზღვაურებმა იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგეზე. ლეიტენანტ სმირნოვის ჯავშნიანმა კატერმა მოწინააღმდეგის კატერი დაატარანა და ჩაძირა. გერმანელთა მეორე კატერი სერიოზულად დაზიანდა. ჩვენი კატერები უზარალოდ და დაუზიანებლად დაბრუნდნენ თავიანთ ბაზაში.

* * *

რიგის ყურეში ბალტიის ფლოტის ტორპედოსანმა თვითმფრინავმა ჩაძირა გერმანელთა ორი ათასი ტონა წყალწყვის ტრანსპორტი.

* * *

ლიტველ პარტიზანთა რამდენიმე რაზმმა ორი კვირის განმავლობაში ლიანდაგიდან გადააგდო გერმანელთა 8 ეშელონი ჯარებითა და საჭურვლით. გარდა ამისა, საბჭოთა პარტიზანებმა გერმანელებთან ბრძოლებში მტრის 160 ჯარისკაცი და ოფიცერი გაჟლიტეს. „დაინავის პარტიზანის" და კოსტას კალინაუსკასის სახელობის პარტიზანულმა რაზმებმა გაანადგურეს გერმანელთა ორი გარნიზონი და ხელთ იგდეს დავლა.

* * *

უკანასკნელ დროს ტყვედ წამოყვანილი გერმანელი ჯარისკაცები გვიამბობენ გერმანელ ფაშისტთა არმიაში დისციპლინის დაცემის შესახებ. ტყვედ წამოყვანილმა გერმანელთა 206-ე ქვეითი დივიზიის სასანგრო ბატალიონის ჯარისკაცმა ალბერტ ბინიასმა გვიამბო: „301-ე პოლკის მე-3 ბატალიონის მეთაურმა ფეხტნერმა მზვერავთა ჯგუფი გაგზავნა და უბრძანა ტყვედ ჩაიგდეთ რუსი მეთვალყურე და ბლინდაჟი ააფეთქეთო. მზვერავები ორჯერ დაბრუნდნენ უკან უშედეგოდ. მესამეჯერ ისინი რუსების დანაღმულ მინდორს წააწყდნენ. რამდენიმე კაცი მოკლულ იქნა. დანარჩენებს შეეშინდათ და წინ აღარ წასულან. უფროსთა რისხვა რომ თავიდან აეცილებინათ, მზვერავებმა დააგროვეს თავიანთი ნაღმები და ააფეთქეს. ისინი ნაწილში დაბრუნდნენ და მოახსენეს: ბლინდაჟი აფეთქებულია. რუსი მეთვალყურე კი, რომელმაც წინააღმდეგობა გაგვიწია მოკლულიაო. პოლკის მეთაურმა II ხარისხის რკინის ჯვრებით დააჯილდოვა მზვერავთა ჯგუფის მეთაური უნტერ-ოფიცერი შვარცი, ეფრეიტორი პტაკი და უფროსი ეფრეიტორი დრაიერი. მაგრამ სიცრუე მალე გამომჟღავნდა და უნტერ-ოფიცერი შვარცი დააპატიმრეს".

23-ე სატანკო პოლკიდან ჩვენს მხარეზე გადმოსულმა კარლ ნ-მ აჩვენა: „წინათ ჯარისკაცები ნებაყოფლობით მიდიოდნენ სამზვერაოდ, ახლა კი ასეთი მოხალისენი აღარ არიან. ამას წინათ საზვერავად წასვლა რომ უარისათვის, დახვრეტილ იქნენ მე-4 ასეულის ჯარისკაცები გეორგ დანი და ანტონ გუბერი".

ტყვედ წამოყვანილმა გერმანელთა 105-ე ქვეითი პოლკის მე-6 ასეულის ეფრეიტორმა ვალტ ამეკლემ განაცხადა: „ჩვენი ასეულის ჯარისკაცთა ორმა ჯგუფმა ბრძანება მიიღო, ტყვეები ჩაიგდეთ. მე უნტერ-ოფიცერ შაფლობერის ჯგუფში დამნიშნეს, შუა გზაში რუსებმა ყველა სროლა აგვიტეხეს და უკან დავბრუნდით. ასეულის მეთაური უნტერ-ოფიცერს დაემუქრა: სამართალში მიგცემ სიმხდალისათვისო, თუ ხვალ ტყვე არ მოიყვანეთ. მეორე გამოხდომა ჩვენთვის კიდევ უფრო სავალალოდ დამთავრდა, ვიდრე პირველი. უნტერ-ოფიცერი შაფრადი ნაღმზე აფეთქდა, ეფრეიტორი ვენცელი მოკლულ იქნა, რამდენიმე ჯარისკაცი დაიჭრა, ხოლო ჯარისკაცი კრაუზე უკვალოდ დაიკარგა. როდესაც უკან დავბრუნდით, ასეულის მეთაურმა [illegible] გინება დაგვიწყო და გამოგვიცხადა: „სანამ ტყვეს არ მოიყვანთ, ყოველდღე საზვერავად გაგრეკავთ ხოლმეო". ბოლოს და ბოლოს, რუსებმა მთელი ჩვენი მზვერავი ჯგუფი მოსპეს, მე და ჩემი ამხანაგი კი ტყვედ წამოგვიყვანეს".

მფრინავი გამანადგურებელი შალვა ქირია

უკრაინის მეორე ფრონტი, 13 ივნისი (საკდესის სპეც. კორ.). მფრინავი გამანადგურებელი შალვა ქირია დღეში რამდენიმე საბრძოლო გაფრენას ახდენს, თან ახლავს მოიერიშე ბომბდამშენებს და იფარავს ქვეითს ჯარს.

ერთხელ მან საბჭოთა ქვეითი ჯარის საბრძოლო წყობებს იქით დაინახა მტრის 50 ბომბდამშენი, რომლებსაც იფარავდა 12 „მესერშმიტ-109". ძალები არათანაბარი იყო, მაგრამ ქირიას მიჰყავდა საბჭოთა ავიაგამანადგურებლები, რომელთაც ახასიათებს არაჩვეულებრივი სიმამაცე და მტრისათვის დარტყმის უნარი. „იაკოვლევთა" ჯგუფი ეცემა ბომბდამშენებს. პირველი დარტყმისთანავე ჯგუფის მეთაურმა ჩამოაგდო მტრის მეწინავე მანქანა. გერმანელებს შორის პანიკა ჩამოვარდა. ამით ისარგებლეს ჩვენმა მფრინავებმა და ზედიზედ დაარტყეს. ჰიტლერელებმა უწესრიგოდ ჩამოჰყარეს ბომბები და უკან დაიხიეს.

ასე მოგებულ იქნა ეს ბრძოლა მტრის რამდენჯერმე ჭარბი ძალების წინააღმდეგ.

მეორეჯერ მაიორზე იერიში მიიტანა 36 ბომბდამშენმა, რომელთაც „ფოკე-ვულფები" ახლდნენ. ბრძოლა ღრუბლებში მიმდინარეობდა. იერიშები ელვისებურად ხდებოდა. ქირიამ ამ ბრძოლაში ორი თვითმფრინავი ჩამოაგდო. ჯგუფი დაუზარალებლად დაბრუნდა აეროდრომზე.

იასის რაიონში ბრძოლებამდე ქირიამ მოასწრო 170-ზე მეტი გაფრენის მოხდენა, ჩაატარა 45 საჰაერო ბრძოლა, ჩამოაგდო გერმანელთა 17 თვითმფრინავი. სამშობლომ მაღალი შეფასება მისცა მის გმირობას და წითელი დროშის სამი ორდენით დააჯილდოვა.

და აი გაჩაღდა გაფთრებული საჰაერო შეტაკებები გერმანელთა ავიაციასთან რუმინეთში — ქალაქ იასის ჩრდილო-დასავლეთით და ჩრდილოეთით მდებარე რაიონში. ქართველი ხალხის სახელოვანი შვილი შალვა ნესტორის-ძე ქირია კვლავ ჰაერშია, კვლავ იფარავს წითელი არმიის მოქმედებებს, ცხადჰყოფს თავის მაღალ სამფრენოსნო ოსტატობას, სამშობლოსადმი თავდადებას, უსაზღვრო მამაცობას.

6 ივნისს რვა „იაკოვლევმა" მაიორ ქირიას მეთაურობით მოიერიშეთა თანხლებით საჰაერო ბრძოლაში ჩამოაგდო სამი „ფოკე-ვულფ-190" და „მესერშმიტ-109". ჩვენმა მოიერიშეებმა დაარტყეს მოწინააღმდეგის თავმოყრილ ტანკებს და იწყეს სამიზნისაკენ წასვლა. ამ დროს ექვსი „ფოკე-ვულფ-190" და ოთხი „მესერშმიტ-109" გამოჩნდა ჰორიზონტზე. გერმანელთა ორი ავიაგამანადგურებელი გამოეყო ჯგუფს, უმატა სიჩქარეს და სულ უკანა „ილიუშინს" გამოედევნა. ტყვიამფრქვევის ჯერმა, რომელიც მაიორმა ქირიამ დააყარა, ცეცხლი წაუკიდა მტრის მანქანას.

ამ დროს „ილიუშინზე" იერიშის მისატანად გამოემართა „ფოკე-ვულფების" მეორე წყვილი. ქირიამ კვლავ მოუჭრა მათ გზა და 80 მეტრ დისტანციაზე ჩამოაგდო მტრის კიდევ ერთი მანქანა. მეორე ავიაგამანადგურებელმა სცადა რევანში აეღო, მაგრამ დროზე მიუხვდა მტერს განზრახვას უფროსი ლეიტენანტი ვასილევსკი, რომლის მარჯვე ჯერმა მოსპო ჰიტლერელი.

მოიერიშეები მწყობრით მიდიოდნენ სულ უფრო და უფრო შორს სამიზნისაკენ და თან ქროდნენ. „ფოკე-ვულფებმა" ვერ მოახერხეს გაჭრილიყვნენ „ილიუშინებისაკენ". მაშინ მათ მიეშველნენ „მესერშმიტები". მაგრამ გერმანელთა ამ წამოწყებიდან არაფერი გამოვიდა. გაბედულად და უნარიანად მოიგერია ერთ წყვილ „მესერშმიტ-110"-ების თავდასხმა ლეიტენანტმა გორელცევმა. „მესერშმიტი", რომელიც ტყვიამფრქვევის ცეცხლს წააწყდა, განზე გაეშურა, მაგრამ წასვლა ვეღარ მოასწრო. გორელცევის მიერ მიყოლებულმა გრძელმა ჯერმა ძირს ჩამოაგდო „მესერშმიტ-110". ყველა ჩვენი „ილიუშინი" და „იაკოვლევი" თავის ბაზებში დაბრუნდა.

ამ დღეებში ქირიამ მოიერიშეთა თანხლებისას ჩამოაგდო კიდევ ერთი „ფოკე-ვულფ-190".

მაიორი დმ. ლობანოვი
უფროსი ლეიტენანტი ივ. კარაბუტენკო

[illegible] ითქვას, რომ ეს დღე იყო ტურნირში ყველაზე უფრო მწვავე და დაძაბული შეხვედრების დღე.

პირველმა ორმა პრიზიორმა თავიანთი ადგილი უკვე წინადღით გამოარკვია, და ახლა ჩემპიონატის მონაწილეთა დიდ ჯგუფს შორის სწარმოებდა გაფთრებული ბრძოლა ოთხი შემდგომი პრიზის ადგილებისათვის. მესამე ადგილზე პრეტენზიას აცხადებდნენ ფლორი, ბოლესლავსკი და მაკოგონოვი, რომელთაც 9 ქულა მოაგროვეს თვითეულმა. მაგრამ მაკოგონოვმა უკანასკნელ ტურში წააგო ვერესოვთან, და, ამრიგად, მესამე პრიზის საკითხს სწყვეტდა სმისლოვ-ბოლესლავსკის და ფლორ-მიკენასის შეხვედრები. მაგრამ ორივე ამ პარტიას შედეგი არ მოჰყოლია და მათ 18 ივ-

ვების შანსები აქვს.

ტოლუშმა მოუგო რავინსკის, ბრონშტეინმა — რაგოზინს, სოკოლსკიმ — ლისიცინს. გროსმაისტერმა კოტოვმა წააგო მაესტრო ხავინთან. გროსმაისტერმა ლილიენტალმა მაესტრო ალატორცევთან თამაში ყაიმით დაამთავრა.

სსრ კავშირის XIII საჭადრაკო ჩემპიონატის შედეგად პირველი ადგილი და ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის წოდება 1944 წლისათვის მოიპოვა გროსმაისტერმა ბოტვინიკმა, მეორე ადგილი დაიკავა გროსმაისტერმა სმისლოვმა.

18 ივნისს შესდგება უკანასკნელი საღამო, მიძღვნილი სრულიად-საკავშირო XIII საჭადრაკო პირველობის შედეგებისადმი. (საკდესი).

16 ივლისს იწყება საზაფხულო არდადეგები უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში

წელს ჩვენი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში საზაფხულო არდადეგები 16 ივლისს დაიწყება და 30 სექტემბრამდე გასტანს. ახალ სასწავლო წელს მეცადინეობა 1944 წლის 1 ოქტომბერს დაიწყება. (საკდესი).

უკანასკნელი ცნობები

[illegible]

ლისიცინმა თამაშის განუგრძობლად დათმო ბოტვინიკს გადადებული პარტია.

ამრიგად, გროსმაისტერმა ბოტვინიკმა ტურნირის ყველა პარტია დაამთავრა, 12,5 ქულა შეაგროვა და ჩემპიონატში პირველი ადგილი დაიკავა.

[illegible]—რაგოზინი, ნაიდორფ—კოტოვი, ვერესოვი-მაკოგონოვი, ფლორი-მიკენასი, სმისლოვი-ბოლესლავსკი. ეს შეხვედრები გადამწყვეტი იქნება ჩემპიონატის მონაწილეთა შორის დანარჩენი საპრიზო ადგილების გამოსარკვევად. (საკდესი).

უკანასკნელი ცნობები

მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის საღამოს ცნობა

ლონდონი, 16 ივნისი (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის საღამოს ცნობაში ნათქვამია:

„მოკავშირეთა ჯარების წინსვლა პონ ლ'აბედან დასავლეთის მიმართულებით კოტანტენის ნახევარკუნძულზე გრძელდება. ჩვენმა ჯარებმა ადგილობრივი წარმატებები მოიპოვეს ტილი-სიურ-სელის სექტორში, მაგრამ ქალაქი მოწინააღმდეგის ხელში რჩება. ორივე მხრივ აღნიშნული იყო პატრულების აქტიური მოქმედება.

არახელსაყრელი ამინდი დილით კვლავ ზღუდავდა ჩვენი ავიაციის მოქმედებას". მტრის ბატარეებსა და შეჯგუფებულ ჯარებს დღის განმავლობაში მოკავშირეთა სამხედრო ხომალდები უშენდნენ.

ინგლისს თავს დაესხნენ გერმანიის თვითმფრინავები, რომლებსაც რადიოთი მართავენ

ლონდონი, 16 ივნისი (საკდესი). შინაგან საქმეთა და შინაგანი უშიშროების მინისტრმა ჰერბერტ მორისონმა დღეს თემთა პალატაში განაცხადა, რომ გერმანელებმა ინგლისის წინააღმდეგ დაიწყეს ისეთი თვითმფრინავების გამოყენება, რომლებსაც შორიდან მართავენ. ამ თვითმფრინავ-ყუმბარების მცირე რაოდენობა გამოყენებულ იქნა ინგლისზე თავდასხმების დროს 13 ივნისს დილით. ისინი დაეცნენ სხვადასხვა პუნქტებში დიდ სივრცეზე. ამ თვითმფრინავთა უფრო მნიშვნელოვანი რაოდენობა გამოყენებულ იქნა თავდასხმების დროს 15 ივნისს ღამით და 16 ივნისს დილით. პირველ შემთხვევაში მსხვერპლთა რიცხვი დიდი არ ყოფილა, თავდასხმა უმნიშვნელო იყო და მიყენებული ზარალიც მცირე. 15 ივნისს ღამით მომხდარი თავდასხმა უფრო ინტენსიური იყო.

მორისონმა აღნიშნა, რომ არსებული ცნობების საფუძველზე გადაჭარბებული მნიშვნელობა არ უნდა მივცეთ გერმანიის ამ ახალ იარაღს და რომ ყველა შესაძლებელ ზომას ვიღებთ გერმანიის ამ თვითმფრინავების წინააღმდეგ საბრძოლველად.

გენერალი მარშალი ამერიკის ახალი ზემძლავრი ბომბდამშენების გამოყენების შესახებ

ვაშინგტონი, 16 ივნისი (საკდესი). ამერიკის არმიის შტაბის უფროსმა გენერალმა მარშალმა იაპონიაზე ამერიკის ავიაციის თავდასხმასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ იაპონიაზე „ბ-29" ზემძლავრი ბომბდამშენების თავდასხმა, რომლებიც შორეული ბაზებიდან მოქმედებდნენ, იმას მოასწავებს, რომ გაჩნდა ახალი სახე მოწინააღმდეგეზე შეტევისა. შტაბების უფროსთა საბჭო ზედმეტად სთვლის შეზღუდოს ამ ზემძლავრი ბომბდამშენების მოქმედება ოპერაციების ერთი არეთი. ზემძლავრი ბომბდამშენები გამოყენებულ იქნებიან შტაბების უფროსთა საბჭოს ცენტრალიზებული კონტროლით და გენერალ არნოლდის ერთიანი სარდლობით. იგი იმოქმედებს, როგორც ამ საბჭოს რწმუნებული, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს ამ ბომბდამშენების მოქმედებას ფრონტებზე მთელს მსოფლიოში.

ინგლისის ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 16 ივნისი (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ 15 ივნისს ღამით ინგლისის ბომბდამშენი ავიაციის თვითმფრინავები თავს დაესხნენ გერმანელების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებს. „მოსკიტოს" მარკის თვითმფრინავთა შენაერთი თავს დაესხა გერმანიას.

ინგლისის ბომბდამშენთა დიდმა შენაერთებმა 15 ივნისს დღის მეორე ნახევარში დაბომბეს მტრის ტორპედოიანი კატერები ბულონში.

იაპონიაზე ამერიკის ავიაციის თავდასხმის გამო

ლონდონი, 16 ივნისი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი, რომელიც ჩინეთში არსებულ ამერიკელთა ერთ-ერთ ბაზაში იმყოფება, იუწყება, რომ იაპონიაზე თავდასხმის მონაწილე ამერიკელთა ზემძლავრი „მფრინავი სიმაგრეები" ჩინეთში გადაყვანილ იქნენ აპრილში საიდუმლო გზით და სპეციალურ აეროდრომებზე დაუშვნენ.

ვაშინგტონი, 15 ივნისი (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სამინისტრომ გამოაცხადა, რომ ბომბდამშენები, რომლებიც თავს დაესხნენ იაპონიას, ინდოეთში, ჩინეთსა და ბირმაში მდებარე ბაზებიდან გაფრინდნენ.

ტოკიო, 16 ივნისი (საკდესი). როგორც დომეი ცუსინის სააგენტო გადმოგვცემს, 16 ივნისს დილის 2 საათზე ამერიკის „ბ-29" და „ბ-24" ტიპის 20-მდე თვითმფრინავი თავს დაესხა კიუსიუს კუნძულის ჩრდილოეთ ნაწილს.

ტოკიოს რადიო იუწყება, რომ დაბომბვა განიცადეს ქარხნებმა ქალაქ იავატაში, აგრეთვე ქალაქმა მოძიმ, ფუკუოკამ და ომუტამ.

ამერიკის ახალი ბომბდამშენი „ბ-29"

ლონდონი, 16 ივნისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ამერიკის „ბ-29" ახალი „ზებომბდამშენის" ფრთების გაშლა 42,36 მეტრს უდრის. თვითმფრინავის სიგრძე 29,4 მეტრია. პროპელერები 4-ფრთიანია, მათი დიამეტრი სჭარბობს ყველა ოდესმე დადგმული პროპელერის სიდიდეს და შეადგენს 4,95 მეტრს. თვითმფრინავზე დადგმულია ოთხი 10-ცილინდრიანი ვარსკვლავისებური მოტორი „რაიტ ციკლონი", რომლებიც აფრენისას 2.200 ცხენძალას ავითარებენ. ამ ბომბდამშენების გამომშვები ფირმა „ბოინგის" წარმომადგენელმა განაცხადა: „ეს თვითმფრინავი უფრო მეტ ტვირთს ზიდავს და უფრო ჩქარა, შორს და მაღლა დაფრინავს, ვიდრე რომელიმე სხვა არსებული თვითმფრინავი. ბომბდამშენის სიჩქარე შეედრება უსწრაფეს ავიაგამანადგურებლებისა და გზისმიმჭრელი თვითმფრინავების სიჩქარეს".

ომი წყნარ ოკეანეში

ამერიკელთა ჯარების წინსვლა საიპანის კუნძულზე

ვაშინგტონი, 16 ივნისი (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების წყნარი ოკეანის ფლოტის შტაბი იუწყება, რომ ამერიკის ჯარებმა, რომლებიც საიპანის კუნძულზე გადასხდნენ (მარიანის კუნძულები), დაიკავეს პლაცდარმი სანაპიროზე და კუნძულის შუაგულისაკენ მიიწევენ, მიუხედავად იაპონელთა ჯარების წინააღმდეგობისა. იაპონელთა მთელი სანაპირო და საზენიტო არტილერია გამოყვანილია მწყობრიდან ხომალდების არტილერიის დაშენით და ჰაერიდან დაბომბვით. მოწინააღმდეგემ ტანკების დახმარებით რამდენიმე კონტრიერიში მიიტანა, რომლებიც წარმატებით იქნა მოგერიებული მოკავშირეთა ჯარების მიერ ხომალდების არტილერიისა და ავიაციის დახმარებით. ბრძოლებს გაფთრებული ხასიათი აქვს.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქართველი ხალხის მამაცი შვილი

საბჭოთა კავშირის გმირი გიორგი გიორგის-ძე ბახტაძე

წულუკიძის ძაფსაღებში ფაბრიკის ყოფილ მუშას მენიკო პეტრეს-ასულ ბახტაძეს ქმარი ადრე გარდაეცვალა და ხუთი მცირეწლოვანი ბავშვი სარჩენად დარჩა. როგორც ყოველი მშობელი დედა ის არ ზოგავდა ენერგიას, რათა ობლებს არაფერი მოჰკლებოდა. სამს საშუალო სასწავლებელი დაამთავრებინა, ორს კი — უმაღლესი სასწავლებელი.

სამამულო ომის დაწყებამდე ხუთივე ბეჯითად მუშაობდა, ზოგი კოლმეურნეობაში და ზოგიც საწარმო-დაწესებულებებში. დაიწყო სამამულო ომი. ყველა ისინი სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგნენ. მათ შორის მტერთან ბრძოლაში ვაჟკაცობით და გამბედაობით მალე სახელი მოიხვეჭა გიორგი (გოგა) გიორგის-ძე ბახტაძემ. ჯერ კიდევ სამხედრო სასწავლებლიდან ის დედას სწერდა: „სულ მალე დავამთავრებ სწავლას. კარგად დავეუფლე სამხედრო ტექნიკას და ვერაგი მტრის შემუსვრის საქმეს. მოუთმენლად მოველი ჩემთვის სანატრელ დღეს, როდესაც ფრონტზე პირისპირ შევებრძოლები ჰიტლერელებს და გადავუხდი სამაგიეროს იმ საზიზღარი მოქმედებისათვის, რასაც ისინი სჩადიოდნენ და სჩადიან მათ მიერ დროებით ოკუპირებულ საბჭოთა ტერიტორიაზე. საყვარელო დედა, ვფიქრობ, რომ ეს ნატვრა მალე შემისრულდება და იცოდე, რომ ბრძოლის ფრონტიდან დავბრუნდები მხოლოდ გამარჯვებული“.

გავიდა სულ რამდენიმე თვე და მენიკო პეტრეს-ასულმა ფრონტიდან კვლავ წერილი მიიღო: „სალამი ჩემო სანატრელო დედა!,— სწერდა გიორგი.—ჩემი დიდი ხნის ნატვრა შემისრულდა. მე უკვე ფრონტზე ვიმყოფები და დაუნდობლად ვჟლეტ გამხეცებულ ჰიტლერელ არამზადებს. შენდამი მოცემულ პირობას ვასრულებ—დაჯილდოებული ვარ წითელი ვარსკვლავის ორდენით. საბრძოლო ცოდნას ყოველდღიურად ვიმაღლებ და ჩემს პირად ანგარიშზე უკვე რამდენიმე განადგურებული ტანკი, ტყვიამფრქვევი, ნაღმსატყორცნი ითვლება, მოსპობილი მყავს რამდენიმე ათეული ჰიტლერელი“.

ლეიტენანტმა გ. ბახტაძემ განსაკუთრებით ისახელა თავი ყირიმის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ლეიტენანტ გიორგი გიორგის-ძე ბახტაძეს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება და გადაეცა ლენინის ორდენი და მედალი „ოქროს ვარსკვლავი“.

საბჭოთა სამშობლოს მგზნებარე პატრიოტი გიორგი ბახტაძე დაიბადა 1916 წელს ქალაქ წულუკიძეში. 1932 წელს დაამთავრა არასრული საშუალო სკოლა. შემდეგ სწავლობდა სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტექნიკუმში, რომელიც დაამთავრა 1936 წელს. ორ წელიწადს მუშაობდა ტექნიკოს-მექანიზატორად. 1938 წელს შევიდა ქალაქ რიაზანის უმაღლეს სასწავლებელში ისტორიის ფაკულტეტზე. შემდეგ სწავლობდა ქალაქ ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1942 წელს. ინსტიტუტის დამთავრებისთანავე გაწვეულ იქნა წითელ არმიაში.

ქართველი ხალხის ღირსეული შვილი გიორგი ბახტაძე სახელოვნად იბრძვის იმ მამაც მეომრებთან ერთად, რომლებმაც არაერთგზის დაიმსახურეს უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინის მადლობა.

ეთ. ჯაფარიძე
გ. საკარული

მათოუები გაიდა.

ლონდონი, 13 ივნისი (საკდესი). ავიაციის სამინისტრომ გამოაცხადა, რომ ინგლისის ბომბდამშენმა ავიაციამ განაახლა დიდი

რაიონში მოხდა დიდი ძალის აფეთქებანი და გაჩნდა ხანძრები, რომელთა კვამლი 5 ათასამდე მეტრ სიმაღლეზე ადიოდა.



სწრაფად და უდანაკარგოთ ავილოთ უხვი მოსავალი

პირველი განალეწი მარცვლეული სახელმწიფოს

ყვარელი („კომუნისტის“ კორ.). დაიწყო პურეულის მოსავლის აღება. რაიონის კოლმეურნეობებს ქერის აღება 1300 ჰექტარზე 14 ივნისისათვის ძირითადად დამთავრებული ჰქონდათ. ამავე რიცხვისათვის ქერი მომკილი და გალეწილი ჰქონდა ახალსოფლის ლენინის სახელობის (თავმჯდომარე ფეხმაშვილი), კუიბიშევის სახელობის (თავმჯდომარე მაისურაძე), სოფელ გავაზის კაგანოვიჩის სახელობის (თავმჯდომარე ბერიშვილი) და რაიონის სხვა კოლმეურნეობებს.

ამ კოლმეურნეობებმა ქერის პირველი განალეწი სახელმწიფოს ჩააბარეს. ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ სახელმწიფოს ჩააბარა 700 კილოგრამი ქერი, კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობამ 300 კილოგრამი და სოფელ გავაზის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობამ 749 კილოგრამი.

ქერის აღების შემდეგ ყვარლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ლ. მელაძე) დაიწყო პურის მკა. 14 ივნისისათვის კოლმეურნეობას პური აღებული ჰქონდა 6 ჰექტარზე.

პურის მკა დაიწყო აგრეთვე სოფელ სანავარდოს კოლმეურნეობა „კომინტერნში“ (თავმჯდომარე გოგოლაშვილი). —

ი. დიასამიძე

ხატიჯე კაკაბაძის ახალი წარმატება

ქობულეთი („კომუნისტის“ საკ. კორ.). სოფელ ულიანოვკის სტურუას სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველმა ხატიჯე კაკაბაძემ 13 ივნისს მოკრიფა 2072 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი. აქედან 970 კილოგრამი პირველი ხარისხისაა. სახელგანთქმულმა მკრეფავმა დღიური დავალება 11,151 პროცენტით შეასრულა, გამოიმუშავა 172,6 შრომადღე და 3.452 მანეთი.

აღნიშნული თანხა ამხ. ხ. კაკაბაძემ მთლიანად შეიტანა თავდაცვის ფონდში.

ალ. ახალაძე

დაიწყო თამბაქოს ფოთლის შეტეხვა

ყვარელი („კომუნისტის“ კორ.). დაიწყო თამბაქოს ფოთლის შეტეხვა. თამბაქოს პლანტაციების საუკეთესოდ მოვლის შედეგად მოსავალს კარგი პირი უჩანს.

სოფელ ბალღოჯიანის კოლმეურნეობა „წითელმა ოქტომბერმა“ (თავმჯდომარე ვ. კურტანიძე) 13 ივნისს დაიწყო თამბაქოს ფოთლის შეტეხვა. ამ დღეს შეტეხეს 120 ზონარმეტრი. სოფელ ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობას ამავე რიცხვისათვის შეტეხილი ჰქონდა 100 ზონარმეტრი.

* * *

სიღნაღი („კომუნისტის“ საკ. კორ.) სოფელ ქვემო მაჩხაანის კიროვის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ბ. პეტრიაშვილი) სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შედეგად ვადაზე ადრე დაამთავრა თამბაქოს გადარგვა 28 ჰექტარზე. საკოლმეურნეო ბრიგადებმა და რგოლებმა ორჯერ გათოხნეს თამბაქოს პლანტაციები და პირველმა დაიწყეს თამბაქოს შეტეხვა. უკვე შეტეხილია 1000 ზონარმეტრი თამბაქო.

რაიონის კოლმეურნეობები ამ დღეებში მასობრივად დაიწყებენ თამბაქოს შეტეხვას.

ი. სიმონიშვილი

ურიგდებიან პურეულის დანაკარგს

სიღნაღი (ტელეგრაფით „კომუნისტის“ სპეც. კორ.). მოსავლის აღება არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს სოფელ ვაქირის „კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ი. გოზალიშვილი). 10-დან 15 ივნისამდე კოლმეურნეობამ აიღო მხოლოდ 7 ტონა მარცვლეული. მინდვრებში ბევრი რჩება პურის თავთავები. მათ შესაგროვებლად ამკრეფები კოლმეურნეობას ჯერ კიდევ არ გამოუყვია.

5 დღის განალეწი პური დაბინავებული არ არის. მოუგვარებელია მარცვლეულის ზუსტი აღრიცხვა. კოლმეურნეობის ბრიგადირი ხელს არ აწერს პურის ჩაბარების დროს, რის შედეგად მტს-ისა და კოლმეურნეობის ჩანაწერები ერთმანეთს არ შეესაბამება. კოლმეურნეობას ჯერ არ დაუწყია სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარება. ცუდად ემსახურებიან მინდვრად მტს-ის ბრიგადებსაც.

ნ. ჯანჯღავა

უშაფათის ჩაის ფაბრიკა მოუქნელად მუშაობს

ცხაკაია („კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტისაგან). რაიონის კოლმეურნეობებში გაცხოველებით მიმდინარეობს ჩაის კრეფა. ფოცხოს, უშაფათისა და ზანის კოლმეურნეობებმა იკისრეს გეგმის გადამეტებით ივნისში სახელმწიფოს მისცენ 30 ტონაზე მეტი პირველი ხარისხის ჩაის მწვანე ფოთოლი. სოციალისტურ შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად მთელი რიგი კოლმეურნეობები ამ ვალდებულებას წარმატებით ასრულებენ.

მაგრამ ყველგან ერთნაირი მდგომარეობა არ არის.

სოფელ ფოცხოს № 2 დამამზადებელი პუნქტის გამგემ ი. სანაიამ სტალინის სახელობის კოლმეურნეობას წინასწარ გამოუწერა ჩაის ფოთლის ჩაბარების ქვითრები და ისიც ცალკე ბრიგადების მიხედვით. ქვითრებში აღნიშნული 1.600 კილოგრამი ჩაის ფოთოლი კი არსად ჩანდა. ასეთსავე ფაქტს ჰქონდა ადგილი სოფელ ზანაში. № 1 დამამზადებელი პუნქტის გამგე კარტოზია პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობას გეგმის შესრულებაში იმით „დაეხმარა“, რომ მან ცალკეულ ბრიგადებს წინასწარ გამოუწერა 500 კილოგრამი ჩაის ფოთლის ჩაბარების ქვითარი.

სოფელ ფოცხოში ჩაის ფოთლის თვითნებურ გადახარისხებასაც ჰქონდა ადგილი. მეორე ხარისხის ჩაის ფოთოლს იღებდნენ როგორც პირველხარისხოვანს, ხოლო მესამე ხარისხის ნაცვლად სწერდნენ მეორეს. ამ ბოროტმოქმედების შედეგად უშაფათის ჩაის ფაბრიკამ 3.363 მანეთი იზარალა.

მაგრამ ყველაფერი რიგზე, არც უშაფათის ჩაის ფაბრიკაშია. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ ნედლი ფაბრიკატის გადაწონისას ფაბრიკას დააკლდა 12,6 ტონა მწვანე ჩაის ფოთოლი. უშაფათის ფაბრიკა (დირექტორი ამხ. დავითაია) დროულად და უდანაკარგოდ ვერ ამუშავებს ჩაის ფოთოლს. მიმღებ პუნქტებში ყოველდღიურად გროვდება ათეულობით ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, რადგან ფაბრიკა ვერ ახერხებს დანიშნულებისამებრ მის გადაზიდვას. ეკის მიმღები პუნქტიდან ივნისში მიღებული ფოთოლი რამდენიმე დღეს ვერ გაიტანეს. აქ ჩაწოლილია და ფუჭდება 4 ტონაზე მეტი ჩაის მწვანე ფოთოლი. ფოთლის გატანა გვიანდება—ლეძამისა და ფოცხოს პუნქტებიდანაც, იმ დროს, როდესაც ფაბრიკას გამოუყენებელი ჰყავს 4 ავტომანქანა.

მაისსა და ივნისის პირველ დეკადაში ფაბრიკის ორი ღუმელი გაჩერებული იყო. მიმდინარე სეზონში სულ გადამუშავებული 70 ტონა პროდუქციიდან დახარისხებულია მხოლოდ 10 ტონა ჩაი, დანარჩენი პროდუქცია ჯერ ისევ ნახევარფაბრიკატის მდგომარეობაშია.

მოუქნელად მუშაობს „ნეფტესბიტის“ ცხაკაიას განყოფილება. იგი თავის დროზე არ აწვდის უშაფათის ჩაის ფაბრიკას მისთვის განკუთვნილ საწვავს.

ა. ნინუა

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულნი

შეჯამებულია სოციალისტური შეჯიბრების შედეგები და გამოვლინებულნი არიან განვლილ თვეში—მაისში გამარჯვებული საწარმოები.

საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოთაგან მაისში საწარმოო დავალებები გადაჭარბებით შეასრულა 14 საწარმომ. მათ შორის პირველ ადგილზე გამოვიდა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პრემია—15.000 მანეთი მიიღო „საქანდეპიტის“ საწარმომ (დირექტორი ამხ. ჯაფარიძე, პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. ბედოევი, მაღაროკომის თავმჯდომარე ამხ. იზაშვილი).

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშა და მეორე პრემია—10.000 მანეთი გადაეცა კალინინის სახელობის ქარხანას (დირექტორი ამხ. მეშველიანი, პარტკომის მდივანი ამხ. სუკიასოვი).

მესამე პრემია—5.000 მანეთი და მანქანათმშენებლობის მთავარი სამმართველოს გარდამავალი დროშა გადაეცა თბილისის საინსტრუმენტო ქარხნის კოლექტივს (დირექტორი ამხ. ხითარიშვილი, პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. კოხრეიძე).

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის საწარმოთაგან მაისში გამარჯვებული გამოვიდა თბილისის ავტოსატრანსპორტო კანტორა (უფროსი ამხ. გელაშვილი, პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. გიორგობიანი), რომელსაც დაუტოვეს წინა თვეში მოპოვებული საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და მისცეს პრემია 15.000 მანეთის რაოდენობით.

სახალხო კომისარიატისა და ავტოტრანსპორტის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი დროშა და პრემია—10.000 მანეთი გადაეცა თბილისის შინების სარემონტო სახელოსნოს (უფროსი ამხ. მელიქიშვილი).

თბილისის ავტომატური სატელეფონო სადგურის კოლექტივმა მაისში კვლავ შეინარჩუნა სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატისა და პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა (დირექტორი ამხ. ნ. ჯავახიშვილი, პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. ი. რამიშვილი, მუშათა კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ა. აფრიკიანი).

ნავთლუღის ნავთი

საქართველოს სარეწაო კოოპერაციის საბჭოს პრეზიდიუმმა ამ რამდენიმე ხნის წინათ აღძრა საკითხი იმის შესახებ, რომ მისთვის ნავთლუღის რაიონში ნავთობის მოპოვების დაწყების ნება დაერთოთ, რათა ეს მოპოვებული საწვავი მასალა თავის საწარმოებში გამოეყენებინა, როგორც ადგილობრივი იაფი რესურსი და ამით სახელმწიფო გაეთავისუფლებინა ამ საწარმოებისათვის საწვავის მიწოდებისაგან. მთავრობამ დააკმაყოფილა სარეწაო კოოპერაციის საბჭოს პრეზიდიუმის შუამდგომლობა.

ნავთლუღში ნავთობის მოპოვების დაწყების თაობაზე სარეწაო კოოპერაციის საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. შ. აბაიშვილმა განაცხადა:

— ნავთლუღში ჩვენ უკვე დავიწყეთ საჭირო წინასწარი მუშაობა ნავთობის მოსაპოვებლად. ამ მუშაობაში დიდ დახმარებას გვიწევს საქართველოს ნავთის ტრესტი, რომელიც გვეხმარება როგორც მოწყობილობათა მოწოდებით, ისე კვალიფიციური სპეციალისტებით. სულ უახლოეს ხანში ნავთობის მოპოვებას დავიწყებთ ექვს ახალ ჭაბურღილში.

წინასწარი ვარაუდით დღე-ღამეში მოპოვებული იქნება 1,5 ტონა ნავთი, ხოლო ახლო მომავალში ჭაბურღილები 2 ტონა ნავთს მოგვცემენ.

ნავთლუღის ნავთობი კარგი ხარისხის აღმოჩნდა. აქ ჩვენ განზრახვა გვაქვს მოვაწყოთ ნავთობის საწმენდი პატარა საწარმო, მოვაგვაროთ ბენზინისა და ნავთის მიღება.

დეპეშები

მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობები

ლონდონი, 15 ივნისი (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის საღამოს ცნობაში ნათქვამია:

კარანტანის დასავლეთით და მდინარეებს ვირსა და ელს შუა მიღწეულია ახალი წარმატებანი. მოკავშირეთა ჯარებმა მოიგერიეს მტრის ჯავშანსატანკო ძალების რამდენიმე გააფთრებული იერიში კომონ-ტილლის სექტორში და მოწინააღმდეგეს მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენეს.

კოტანტენის ნახევარკუნძულზე მოკავშირეების მიერ კინევილის რაიონში ახალი ტერიტორიის დაკავების შედეგად ზღვიდან მისვლა მნიშვნელოვნად გაადვილდა.

გუშინდელი დღის განმავლობაში მოკავშირეთა სამხედრო ხომალდები უშენდნენ მოწინააღმდეგის მოძრავ ბატარეებს ფლანგებზე.

მოკავშირეთა სავაჭრო გემების ქარავნები მშვიდობიანად მიდიან, და არმიებს კვლავ მისდით შევსება ადამიანთა რეზერვებისა და საჭურვლის სახით.

მოკავშირეთა თვითმფრინავების დიდი შენაერთები განაგრძობდნენ თავდასხმებს მტრის კომუნიკაციებზე, აეროდრომებსა და სხვა ობიექტებზე.

ლონდონი, 16 ივნისი (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის დღეს დილით გამოქვეყნებულ კომუნიკეში ნათქვამია:

ფრონტის არც ერთ უბანზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა, მაგრამ მოკავშირეთა ჯარებმა წინ წაიწიეს პონ ლ'აბეს დასავლეთით (9 კილომეტრზე სენტ-მერ-ეგლიზის სამხრეთ-დასავლეთით). მოწინააღმდეგის ყველა ცდა — ხელში ჩაეგდო ინიციატივა—მარცხით დამთავრდა. მტრის კონტრიერიშები წარმატებით იქნა მოგერიებული. ჩვენი დაკვრითი ძალა განუხრელად მატულობს.

15 ივნისს მოკავშირეთა ავიაციამ მოახდინა 3.000 თვითმფრინავგაფრენა. დიდძალი გაფრენა მოახდინეს თვითმფრინავებმა, რომლებსაც ბაზა საფრანგეთში მდებარე აეროდრომებზე აქვთ, და იერიში მიიტანეს ობიექტებზე არმიების შტაბების მითითებით. დღის მეორე ნახევარში საშუალო ბომბდამშენები ურტყამდნენ საწვავისა და საჭურვლის საწყობებს, ხიდებს და სხვა კომუნიკაციებსა და ობიექტებს მთელ სივრცეზე ვალონიდან—კოტანტენის ნახევარკუნძულზე—ლავალამდე და დომფრონამდე, დაახლოებით 75 მილზე მოწინააღმდეგის ხაზს უკან: ერთი საშუალო ბომბდამშენი ბაზაში არ დაბრუნებულა.

გამანადგურებელი-ბომბდამშენები და ავიაგამანადგურებლები, მათ შორის რაკეტიანი დანადგარების მქონე გამანადგურებლები, მთელი დღის განმავლობაში მოქმედებდნენ. ამ თვითმფრინავთა ოპერაციების ობიექტთა შორის იყო რკინიგზის დეპოები ლე მანში, ფუჟერში, მაიენში, ვირში, გრანვილში, ფოლენისა და შარტრში, აგრეთვე მდინარე ორნის ხიდი. კანის აღმოსავლეთით გამანადგურებელმა-ბომბდამშენებმა იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგის ჯარებსა და ტანკებზე, რომლებიც დამალული იყვნენ ტყეებსა და ბაღებში. თვითმფრინავთა სხვა შენაერთებმა დაბომბეს სა[illegible]ნო გადასასვლელები მდინარე სენაზე, სათვალთვალო საგუშაგოები, რადიოსადგურები, არტილერიის შეჯგუფებანი და რამდენიმე ხიდი და რკინიგზის ხაზები სენ-ლოს მახლობლად. ამ ოპერაციებში მოსპობილ იქნა მოწინააღმდეგის 14 თვითმფრინავი. მოკავშირეთა ავიაციამ 7 თვითმფრინავი დაჰკარგა.

ამერიკის ჯარების გადასხმა მარიანის კუნძულებზე

ლონდონი, 15 ივნისი (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ საიპანის კუნძულზე (მარიანის კუნძულები) გადასხმულია ამერიკის დიდი ძალები. გადასხმა მოხდა სახაზო გემების, კრეისერების და საესკადრო ნაღმოსნების ძლიერი ცეცხლის საფარქვეშ.

საომარი მოქმედება იტალიაში

ლონდონი, 16 ივნისი (საკდესი). იტალიაში მოქმედი მოკავშირეთა ჯარების მთავარი შტაბი იუწყება, რომ მოკავშირეთა ჯარებმა კვლავ წაიწიეს წინ მთელ ფრონტზე. ადრიატიკის სანაპიროს სექტორში მოწინააღმდეგე უკან იხევს და მის ნაწილებს ნაკლებად ვხვდებით. ინგლისის მე-8 არმიის ნაწილებმა დაიკავეს ნარნი და ტერნი (ნახევარკუნძულის ცენტრალურ ნაწილში), სწრაფად წაიწიეს წინ 40-ზე მეტი კილომეტრით და 15 ივნისს ნაშუადღევს ტოდიში შევიდნენ (ტერნის ჩრდილო-დასავლეთით). უფრო დასავლეთით ინგლისის მე-8 არმიის ნაწილებმა 15 კილომეტრით წაიწიეს წინ ორვიეტოს ჩრდილოეთით. ამერიკის მე-5 არმიის ნაწილებმაც წინ წაიწიეს და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს, რომელთა შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია აკვაპენდენტე. მე-5 არმიის მოწინავე ნაწილები უახლოვდებიან გროსეტოს (დასავლეთ სანაპირო სექტორში).

მოკავშირეთა თვითმფრინავებმა გუშინ დაბომბეს მთელი რიგი რკინიგზის ხიდები იტალიის დასავლეთ სანაპიროზე და ფლორენციის რაიონში, აგრეთვე მოწინააღმდეგის სხვა ობიექტები იტალიაში.

ამერიკის ავიაციის თავდასხმა იაპონიაზე

ლონდონი, 15 ივნისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სამინისტრომ გამოაცხადა, რომ დღეს ზემძლავრი ბომბდამშენები „მფრინავი სიმაგრეები ბ-29“, რომლებიც ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების მე-20 შენაერთის შემადგენლობაში შედიან, თავს დაესხნენ ტოკიოს და იაპონიის სხვა რაიონებს.

ამერიკის არმიის სამხედრო-საჰაერო ძალების უფროსმა არნოლდმა განაცხადა, რომ ამ თვითმფრინავთა გამოყენება მხოლოდ ახლა იწყება. ბომბდამშენები „ბ-29“ მოქმედებას იწყებენ უშუალოდ ქარხნიდან. „ამ მანქანის გამოყენების ინტენსივობა, — განაცხადა არნოლდმა,—ზუსტად იქნება გამორკვეული მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ. დაე ყოველივე ამიდან ჩვენმა მტრებმა დაასკვნან, თუ რა მოელით მათ“.

მოკავშირეთა ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 15 ივნისი (საკდესი). ამერიკის საექსპედიციო სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბის ცნობით, თვითმფრინავ „მფრინავი სიმაგრეების“ და „ლიბერეიტორების“ მეტად დიდმა შენაერთებმა 15 ივნისს დილით დაბომბეს ბევრი ობიექტი საფრანგეთში, მათ შორის რკინიგზის კვანძები, ხიდები, აეროდრომები და საავიაციო ქარხნები. ბომბდამშენებს იფარავდნენ ავიაგამანადგურებლები, რომლებმაც სამხედრო ობიექტებს დაუშინეს. არსებული ცნობებით, ოპერაციაში მონაწილეობას იღებდა დაახლოებით 1.500 თვითმფრინავი.

14 ივნისის განმავლობაში მე-9 საავიაციო კორპუსის შემადგენლობის 2.400-ზე მეტმა ბომბდამშენმა და ავიაგამანადგურებელმა დაბომბა ობიექტები საფრანგეთში. გერმანელთა ხაზებს გადაღმა განლაგებულ ობიექტებს დააყარეს 1.485 ტონა ბომბი. საიერიშო ოპერაციათა მსვლელობაში მოსპობილია მექანიზებული ტრანსპორტის 50 ერთეული, მათ შორის 20 ორთქლმავალი. დაიბომბა აგრეთვე აეროდრომი ლე მანში. ოპერაციებში მონაწილეობას იღებდნენ „ტაიფუნის“ ტიპის თვითმფრინავები, რომლებსაც აქვთ რაკეტიანი დანადგარები.

სრულიად-საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატი

15 ივნისს მოხდა წინა ტურებში დაუმთავრებელი პარტიების გათამაშება

თამაში განუახლებლად დანებდნენ რავინ რაგოზინს და ხავინი მაკოგონოვს. ყაიმზე შეთანხმდნენ ბრონშტეინი და მაკოგონოვი.

დიდხანს და შეუპოვრად მიმდინარეობდა ბრძოლა ტოლუშსა და ბოტვინიკს შორის, რომლებიც განაგრძობდნენ გროსმაისტერისათვის უარეს მდგომარეობაში გადადებულ პარტიას. ოსტატმა ტოლუშმა ზუსტი თამაშით გამარჯვებამდე მიიყვანა პარტია და 56-ე სვლაზე დაამარცხა მოწინააღმდეგე.

მაესტრო ტოლუშს ამ დღეს მოუხდა კიდევ ორი პარტიის დამთავრება: გროსმაისტერ ლილიენტალის და მაესტრო სოკოლსკის წინააღმდეგ. ლილიენტალთან ტოლუშმა ყაიმი გააკეთა და მე-60 სვლაზე გამარჯვება მოიპოვა მაესტრო სოკოლსკის წინააღმდეგ.

მიკენასმა მოუგო ბრონშტეინს, ლისიცინმა ალატორცევს, რაგოზინმა სოკოლსკის.

ვერესოვმა ყაიმით დაამთავრა თავისი პარტიები ბოლესლავსკისა და მიკენასთან.

ბოტვინიკისა და ალატორცევის პარტიას, რომელიც გადადებული იყო, კვლავ შედეგი არ მოჰყოლია და 16 ივნისს გაგრძელდება.

ამრიგად გროსმაისტერ ბოტვინიკს აქვს 10,5 ქულა და ორი გადადებული პარტია, სმისლოვს 10,5 ქულა, ფლორს, ბოლესლავსკისა და მაკოგონოვს ცხრა-ცხრა ქულა, მიკენასს — 8,5, ტოლუშს—7,5, კოტოვს, რაგოზინს, ლილიენტალსა და ლისიცინს — შვიდ-შვიდი ქულა (საკდესი).

ბავშვთა ტექნიკური შემოქმედების გამოფენა

თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის პიონერთა და ოქტომბრელთა სასახლეში გაიხსნა ბავშვთა ტექნიკური შემოქმედების საქალაქო გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილია ქალაქის პიონერთა ნაშრომები ფრონტისა და განთავისუფლებულ რაიონთა დასახმარებლად.

დიდად საინტერესოა რადიოაპარატურის დეტალები, დამზადებული 26 კომისრის სახელობის რაიონის საბავშვო ტექნიკური სადგურის მოწაფე-აქტივისტთა ჯგუფის მიერ.

გამოფენის ექსპონატებს შორის არის ნიმუშები საბავშვო ავეჯისა, რომელიც პიონერთა სასახლის სადურგლო სახელოსნომ დაამზადა და დახმარების სახით გაუგზავნა განთავისუფლებულ რაიონთა საბავშვო ბაღებს. პიონერთა სასახლის მექანიკურმა კაბინეტმა გამოფინა ფარგლები, კუთხედები, კარაკინები, ჩაქუჩები.

გამოფენაზე არის თვითმფრინავების, ტანკების საინტერესო მოდელები, საბავშვო რკინიგზის მაკეტი.

გამოფენილია აგრეთვე გოგონების ნაკერი, ნაქარგი, ნაქსოვი.

ყურადღებას იპყრობს ქალთა მე-5 სკოლის მოწაფეების მიერ სიყვარულით შესრულებული ნაქარგი—ამხანაგ სტალინის პორტრეტი (საქდესი).

შუქშენიღბვის რეჟიმის დარღვევისათვის

ქალაქ თბილისში შუქშენიღბვის რეჟიმის დარღვევისათვის 300-500 მანეთით დაჯარიმებული არიან ვ. ს. დოლიძე, ი. ს. რომაშკინა, მ. რ. მეგრელიშვილი, ვ. ა. ლოგკინა, ვ. ა. ს ნიანი, პ. კ. ჩუმაჩიკოვა, გ. ა. თუთუნჯიანი, ნ. ს. პირადოვა, ვ. ა. კორგანოვა, ვ. თ. კა ჯიანი.

თეატრებში

17 ივნისს:—სახელმწიფო ოპერა—„ევგენი ონეგინი“. რუსთაველის სახელობის—„უდანაშაულო დამნაშავენი“. მარჯანიშვილის სახელობის — „ინჟინერი სერგეევი“. გრიბოედოვის სახელობის—„ერთი ღამის შეცდომები“. სომხური—„დავით ბეგ“. ახუნდოვის სახელობის—„ყაჩაღი ნაბი“. მუსკომედიის — „მზის დაბნელება“. სანკულტურის—„აჯიღლა“. მოზარდი მაყურებლის — ქართული „ადვოკატი პატლენი“, რუსული—„სიღარიბე ნაკლი როდია“. თოჯინების—ქართული—„ქარიშხალში“.

კინოებში

17 ივნისს: რუსთაველის სახელობის — „მხიარული ახალგაზრდობა“. ოქტომბერი — „ჯუნგლი“. დამკვრელი—საზამთრო—„ბრძოლა რუსეთისათვის“, საზაფხულო—„ჯუნგლი“. კომკავშირელი—„მხიარული ახალგაზრდობა“. ლუქსემბურგის სახელობის—„ლედი ჰამილტონი“. სპარტაკი—„დავით ბეგ“.

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე გ. ჯიბლაძე

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს, რომ ა. წ. 30 ივნისს, დღის 3 საათზე, მედინსტიტუტის აუდიტორიაში, მელიქიშვილის ქ. № 16, შესდგება ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომა, რომელზეც მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავს:

საფაკულტეტო ქირურგიის კათედრის ასისტენტი **ავთანდილ ივანეს-ძე კუტუბიძე** თემაზე: **„მასალები ბავშვთა ასაკში ჰემატოგენური ინფექციური ოსტეომიელიტების საკითხისათვის“.**

ოფიციალურ ოპონენტებად დანიშნული არიან: მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი კ. დ. ერისთავი და პროფესორი დ. ი. ბერეჟიანი.

მსურველთ შეუძლიათ გაეცნონ შრომას მედინსტიტუტის ბიბლიოთეკაში, მელიქიშვილის ქ. № 16.

დირექცია.

მშობლები მატრონე, ერმილე, ბაბუა კოსტა, ბებია ელისო, და ბაბუცა იუწყებიან **იუზა ერმილეს-ძე გურგენიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 18/VI, 5 ს. ქუთაისის ქ. № 21.

ნელი, მერაბ გამყრელიძეები, ქეთო შარაშენიძე, თინა იოსელიანი იუწყებიან მეგობრის **ირაკლი გიორგის-ძე ბახტაძის** გარდაცვალებას.

მეუღლე ალფეზ, დედა ლალო შვილებით, დისწული ნუნუ სირაძე იუწყებიან, რომ 18/VI, 3 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **მარიამ გიორგობიანი-ლანდიას** პანაშვიდი.

შვილები ნადია ცომაია, პელაგია, გიორგი, ვიქტორ, რძლები ანტონინა, ლენა, შვილიშვილები მედეა, თამარ, ციალა იუწყებიან **დარეჯან ივანეს-ასულ ცომაიას** გარდაცვალებას.

მეუღლე ილია ტიკაძე, შვილი მერაბ, მშობლები მარო, რაჟდენ, ძმები ბულივერი, აკაკი იუწყებიან **ნინო მშვენიერაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 17/VI, 7½ ს. გამოსვენება 18/VI, 5 ს. ნიაღვრის, 2.

საქართველოს გეოლოგიური სამმართველოს თანამშრომლები იუწყებიან სამთოქიმიური მრეწველობის მთავარ სამმართველოს უფროსის ბორის გუჯეჯიანის მამის **ივანე გუჯეჯიანის** გარდაცვალებას.

მშრომელთა დეპუტატების დუშეთის რაიონული საბჭოს აღმასკომი იუწყება რაიონული საბჭოს დეპუტატის, პარტრაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის **მიხეილ კვაჭაძის** გარდაცვალებას.

მშობლები ქსენია, შალვა, ძმა გივი იუწყებიან ექიმ **ეთერ გველესიანის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 17/VI, 8 ს. გამოსვენება 18/VI, 2 ს. გერცენის, 7.

დედა მარიამ, ძმები ჟორა, გრიშა, ვიქტორ, დები ელენე, თამარ, მარგარიტა, ნინო, ვერა, დისწული ნათელა იუწყებიან **კაპიტონ პეტრეს-ძე ხომერიკის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 17/VI, 7 ს. გამოსვენება 18/VI, 4 ს. აგარაკის, 18.

ეკატერინე მოსიაშვილი, ვენერა კაჭარავა იუწყებიან **მიშა ალექსანდრეს-ძე კვაჭაძის** გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი თბილისი: ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის—3-62-26, პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილის—3-63-08, პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოს—3-06-88, განყოფილებებისა: პარტიულისა და პროპაგანდის—3-81-84, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3-80-83, სამხედრო, განათლება-ჯანმრთელობის, ლიტერატურისა და ხელოვნების—3-80-84, წერილების—3-78-54, მ ორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 91.800 უე 00196